საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლავრენტი მაღლაკელიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი: 27.05.2021 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზაზა ხარებავა

ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: ,,საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით, 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

გ) წერის უნარი;
დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

<table>
<tr><th colspan="2">მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება
კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th>დასაბუთება</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს
კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3">უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებულ და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ საჯარო გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციას.

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ მას გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეა, პატიოსანი მოსამართლე და მოქალაქეა. ის კეთილსინდისიერად, გამჭვირვალედ და ჯეროვანი სიზუსტით ასრულებს სამსახურეობრივ და სამოქალაქო ვალდებულებებს, რაც მისი ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას დასტურდება, კერძოდ: ლავრენტი მაღლაკელიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. მის მიერ წარდგენილ დეკლარაციაში ასახული ქონებრივი მონაცემები, თანხვედრაშია რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან.
კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მას თავმდაბალ, პატიოსან, წესიერ, გულისხმიერ პიროვნებად ახასიათებენ, ასევე მიუთითებენ მის მაღალ პროფესიულ სინდისზე.
მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს
კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს
კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

		2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა: რეკომენდატორები და გამოკითხული პირები უთითებენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა პრინციპულობით, სამართლიანობით, მიუკერძოებლობითა და დამოუკიდებლობით. წარმოდგენილი ინფორმაციით კანდიდატის რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების წევრობა, მხარდაჭერა ან შემოწირულობა არ დასტურდება. ასევე, საჯარო მოსმენის პროცესშიც ვლინდება, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას, სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად, არის პრინციპული, შეუვალი. იკვეთება, რომ იგი თავისუფალია პოლიტიკური მიკერძოებისაგან და რაიმე სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მიდგომებისაგან, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და იყოს ზეგავლენის მიმართ მედეგი. საჯარო მოსმენისას კანდიდატის მიმართ დასმული საკითხებზე მსჯელობისას იკვეთება მისი პიროვნული სიმყარე და დამოუკიდებელი, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:** რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის გაწონასწორებული, მობილიზებული, თავაზიანი, ტაქტიანი, კოლეგიალური. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ ლავრენტ მაღლაკელიძის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია. გასაუბრების პროცესში კანდიდატი ავლენს თავდაჭერილობას, სათანადოდ მართავს თავის ემოციებს, ზრდილობიანი და კორექტულია. ვლინდება, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკას, არის კორექტული კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას. შემიძლია დავასკვნა, რომ მისი ქცევა და იმიჯი

		შესაბამისობაშია მოსამართლის მაღალ წოდებასთან. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:** კანდიდატის შესახებ რეკომენდაციებისა და კითხვარების ფორმების, მასზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს შრომისმოყვარე, სამართლიანი, მაღალი პროფესიული კომპეტენციის მქონე პიროვნებისა და მოსამართლის სახელით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი იურიდიულ წრეებში გამოირჩევა მაღალი პროფესიული და პიროვნული რეპუტაციით. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად უთითებს ოდნავ მოჭარბებულ თვითკრიტიკას. კანდიდატის სხვა სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს არ აღნიშნავენ. მედია სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია ლავრენტი მაღლაკელიძის განხილული, მათ შორის ამჟამად განსახილველი საქმეების შესახებ. ე.წ. გახმაურებულ საქმეებს შორის არის ე.წ. რიყის დარბევის, ტელეკომპანია იმედში შეჭრის, ასევე ტერორიზმის მხარდაჭერის, მამინაცვლის მიერ 25 წლის ქალის მკვლელობის, ნიკა გვარამიას ცემის, ირაკლი ოქრუაშვილის, მიხაილოს საქმეები. ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ლავრენტი მაღლაკელიძის ინტერვიუები, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვისა და მოსამართლედ განწესების შესახებ ინფორმაცია, ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის პროცესში მონაწილეობის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მოსამართლის, როგორც დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნების მიმართ ჩამოყალიბებული აზრის გამაბათილებელი რაიმე დადასტურებული ფაქტი, ან სხვა ობიექტურად არგუმენტირებული გარემოება არ გამოვლენილა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ

			კომპონენტებს. **5. ფინანსური ვალდებულება:** კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობისას ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების შესახებ, მისი შემოსავლების, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და საკრედიტო ისტორია დადებითია. მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების რაიმე საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას, არ გამოვლენილა. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. ამდენად, კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მასზე მოძიებული მასალებში, რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს, არ გამოვლენილა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**დასაბუთება**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	

სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი პუბლიკაციების გაცნობით, ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული სასამართლოს 2 განაჩენი და 4 სამართლებრივი პუბლიკაცია. სასამართლოს გადაწყვეტილება/განაჩენი: 1) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი, ოთხი ბრალდებულის მიმართ, კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი; 2) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 7 ნოემბრის განაჩენი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი. სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაცია: 1) რეცენზია სადისერტაციო ნაშრომზე: „სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართის მიხედვით). 2) დასკვნა დოქტორანტის კოლოქვიუმის თემაზე: “გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტები“. 3)„ნასამართლობა, როგორც ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელი გარემოება და მისი გაქარწყლების პრობლემა დანაშაულთა ერთობლიობის დროს“ ლ. მაღლაკელიძე 2020წ. 4) „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე“ 2019წ.; კანდიდატის საჯარო მოსმენის შეფასების შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ლავრენტი მაღლაკელიძემ გასაუბრების პროცესში გამოავლინა სამართლის ნორმების სათანადო სიღრმისეული ცოდნის დონე. იგი მეტწილად დამაჯერებელი იყო თავის სპეციალიზაციის სფეროში. კანდიდატმა სწორი სამართლებრივი საფუძვლებით ისაუბრა ადამიანის უფლებებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ გარკვეულ საკითხებზე. კანდიდატს კარგად ესმის სამართლის ცნება და ფუნქციები, სამართლის თეორიები, პრინციპები. ასევე ისაუბრა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ. კანდიდატმა იმსჯელა სისხლის სამართლის პროცესში ინკვიზიციურ, შეჯიბრებით და

			შერეული პრინციპების ურთიერთმიმართებაზე. თავად კანდიდატი ემხრობა შერეულ პროცესს, რომელიც შეჯიბრებითია, მაგრამ მოსამართლეს გარკვეულ გარემოებათა დასადგენად შეუძლია დამაზუსტებელი კითხვების დასმა მხარეთა შეთანხმების გარეშე. ასევე, განავითარა მსჯელობა ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოების - ტრაგიკული კოლიზიის თაობაზე და სხვა. კანდიდატს გაუჭირდა განმარტება ზოგიერთ საკითხზე, მაგ.: რას მოიაზრებს და რას დაედო საფუძვლად ერთ-ერთი სამართლებრივი დოქტრინა (ე.წ. ელფორდის). ასევე, იმ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ფაბულის გახსენება, რომელსაც დასაბუთების მიზნით ხშირად უთითებდა საკუთარ გადაწყვეტილებებში. შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. ლავრენტი მაღლაკელიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. იგი ამჟამად არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოქმედი მოსამართლე. მას წარმატებით აქვს გავლილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კი ირკვევა, რომ ლავრენტი მაღლაკელიძეს აქვს გამორჩეულად კარგი თეორიული ცოდნა სისხლის სამართლის დარგში სამართლის სხვა დარგებთან შედარებით. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი რეგულარულად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და სწორად იყენებს მათ თავის საქმიანობაში. კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები სწორად არის გამოყენებული და განმარტებული. სამართლებრივ პუბლიკაციებში სწორად არის წარმოჩენილი მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხები, საფუძვლიანადაა მსჯელობა აგებული, დასკვნაც დასაბუთებულად არის ჩამოყალიბებული. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით,

			საბოლოოდ „სამართლის ნორმების ცოდნის“ კრიტერიუმში ლავრენტი მაღლაკელიძე უნდა შეფასდეს 17 (ჩვიდმეტი) ქულით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20	კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, რეკომენდატორების მოსაზრებებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი პუბლიკაციების ანალიზით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებითა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებებით. კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლოს გადაწყვეტილებებში, ისევე როგორც სამართლებრივ პუბლიკაციებში, მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად ვლინდება, რომ მათი დასაბუთების ხარისხით, დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც დასაბუთებული გადაწყვეტილებაა. რეკომენდატორები მითითებენ კანდიდატის კომპეტენტურობაზე, უთითებენ რომ, მას აქვს სამართლებრივი დასაბუთების მაღალი დონე, ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ მის მიერ მიღებული რამოდენიმე გადაწყვეტილება ქრესტომათიული ხასიათისაა და ისწავლება, გაირჩევა როგორც სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ისე განიხილება აკადემიურ კონფერენციებზე. ასევე, აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა იყო სამართლებრივად კარგად გაანალიზებული და არგუმენტირებული. იგი აზრს ავითარებდა გამართულად, თანმიმდევრულად და დამაჯერებლად. მივიჩნევ, რომ კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე, მისი გადაწყვეტის გზების განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებიდან ირკვევა, რომ კანდიდატს აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, დახვეწილი და არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობა. იგი სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 2016 წლიდან და აქვს მოსამართლედ მუშაობის მხოლოდ 5 წლიანი გამოცდილება. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე აკმაყოფილებს

			„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის“ კრიტერიუმში ლავრენტი მაღლაკელიძე უნდა შეფასდეს 17 (ჩვიდმეტი) ქულით.
წერის უნარი	**18**	**20**	კანდიდატის წერის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობით, ასევე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით და შედეგად ვასკვნი, რომ წერისას ლავრენტი მაღლაკელიძე აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. გადაწყვეტილებებში, ისევე, როგორც სამართლებრივ ნაშრომებში ლოგიკური ანალიზით ავითარებს მსჯელობას და ასაბუთებს დასკვნას, რითაც ვლინდება მაღალი სამართლებრივი წერის კულტურა. შესწავლილ მასალებში მნიშვნელოვანი გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი წერისას აზრს დამაჯერებლად და ლაკონურად გადმოსცემს. მისი გადაწყვეტილებები დასაბუთებულია მაღალი ხარისხით. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კანდიდატის მიერ წერილობით შედგენილი დოკუმენტები სწორი და თანმიმდევრული იყო, იგი ფლობს წერისთვის საჭირო აუცილებელ უნარ-ჩვევებს. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „წერის უნარის“ კრიტერიუმში ლავრენტი მაღლაკელიძე უნდა შეფასდეს 18 (თვრამეტი) ქულით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**	ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე საჯარო მოსმენის დროს კანდიდატზე დაკვირვებით, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. კანდიდატმა გასაუბრებისას გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი

			უნარი. კანდიდატი მეტყველებს მკაფიოდ, გამართულად და აზრს გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ კანდიდატს შეუძლია სტრუქტურულად კარგად და ლაკონურად გადმოსცეს აზრი. შეუძლია რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კანდიდატი საუბრობს გამართულად და დამაჯერებლად, შეუძლია საქმის გარემოებების ლაკონურად და გასაგებად გადმოცემა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის" კრიტერიუმში ლავრენტი მაღლაკელიძე უნდა შეფასდეს 15 (თხუთმეტი) ქულით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატის პროფესიული თვისებებისა და მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის შეფასებისას ვიხელმძღვანელე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებით. ამ მონაცემების, ასევე საჯარო მოსმენისას მიღებული ინფორმაციის გაცნობისა და ანალიზის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი, დისციპლინირებული პიროვნებაა. სასამართლო სხდომებს სათანადოდ წარმართავს. მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ის არის ასევე ზრდილობიანი და კორექტული. რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის ძალიან შრომისმოყვარე, აქვს პროცესის მართვის, ორგანიზაციისა და სწორად წარმართვის უნარი. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიერ განხილული საქმეები მომზადებულია

			ჯეროვნად. სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ ლავრენტი მაღლაკელიძეს საანგარიშო პერიოდში საპროცესო ვადების დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა - 100%; ამავე პერიოდში, გადაწყვეტილებათა 100% მომზადდა ვადის დაცვით; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ საქმეთა 98,5%, ხოლო შეცვალა 1,5%. საანგარიშო პერიოდში (1010 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 645 საქმე, დღეში საშუალოდ 0,8 საქმემდე. ვლინდება, რომ კანდიდატს გააჩნია სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, საქმის მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადებისას პროდუქტიული და სწრაფია, რაც შესაბამისად ვლინდება საქმის განხილვის დადგენილი ვადების დაცვაში, რაც ასევე კანდიდატის შესაბამის მენეჯერულ თვისებებზე მეტყველებს. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში" კრიტერიუმში ლავრენტი მაღლაკელიძე უნდა შეფასდეს 15 (თხუთმეტი) ქულით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**	აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. ლავრენტი მაღლაკელიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით; წარმატებით აქვს გავლილი სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსი. კანდიდატს ასევე გავლილი აქვს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და გერმანული ენის შემსწავლელი კურსი გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურში (DAAD). ლ.მაღლაკელიძე სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში. ასევე მან სტაჟირება გაიარა გერმანული

			სასწავლო სისტემის მოწყობა და მუშაობის წესის თაობაზე- გერმანია, ბონი. გარდა ამისა კანდიდატი მონაწილეობდა სხვადასხვა პროფესიულ სასწავლო ღონისძიებებში: თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკის საკითხების განხილვა - თსუ. - ქართველ სისხლის სამართლის მეცნიერ-იურისტთა პირველი პროფესიული შეხვედრა თსუ, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტი (გერმანია). - შეხვედრა ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისათვის საქართველოში - თსუ; თანამედროვე სისხლის სასამართლოს დოგმატიკის საკითხები - თსუ, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტი (გერმანია). - თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკის საკითხები - ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი (გერმანია). - საერთაშორისო კონფერენცია - თანამედროვე სისხლის სამართლის იუსტიციის პრობლემები თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, ქ. ბერლინი ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტი (გერმანია). - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მათ შორის, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები -იუსტიციის სკოლა და სხვა. წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ ის არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების უნარი, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა, რაც დასტურდება მის მიერ განხილულ საქმეთა და აკადემიური საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გაცნობისა და ანალიზის შედეგად. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის" კრიტერიუმში ლავრენტი მაღლაკელიძე უნდა შეფასდეს 5 (ხუთი) ქულით.
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**	პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით.

			კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აღნიშნული სემინარები შეეხებოდა შემდეგ თემებს: თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკის საკითხების განხილვა; ევროპული სისხლის სამართლის განვითარება; თანამედროვე სისხლის სასამართლოს დოგმატიკის საკითხები (გერმანია) და სხვა. ლ. მაღლაკელიძე არის არაერთი პუბლიკაციის ავტორი და სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი: სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის შინაარსი და თავისებურებები" (სტატია კრებულში.); -გამოძიების შინაარსი და თავისებურებები ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით. (სტატია კრებულში.); -ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით (სტატია კრებულში.); -ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით (სტატია კრებულში.); -არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით (სტატია კრებულში.); -სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, ავტორი: პროფ. ირაკლი დვალიძე. (სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი.) და სხვა. გარდა აღნიშნულისა, კანდიდატი ასევე ეწევა პედაგოგიური საქმიანობას: - 2013 წლიდან არის ასოცირებული პროფესორი - სულხან -საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში; - 2007 წლიდან - ასისტენტ- პროფესორი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; - 2019 წლის პირველი ივლისიდან კი არჩეულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე; - 2014 წლის მაისიდან 2015 წლის ივლისამდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სრული პროფესორი; - 2008 წლის იანვარ-ივლისში იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოწვეული პროფესორი; - 2007 წლის სექტემბრიდან -2008 წლის მაისამდე იყო ქართულ/ამერიკულ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეული

			პროფესორი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს შეუძლია ღიად და თავისუფლად გამოხატოს საკუთარი პოზიცია და შეხედულებები, აქვს ინიციატივის გამოჩენის, იდეებისა და წინადადებების წამოყენების უნარები, აქვს საკმაო დამსახურება იურიდიული პროფესიის წრეებში და ა.შ. ამასთან აღსანიშნავია, რომ მისი პედაგოგიური და სამეცნიერო/აკადემიური საქმიანობა არ გვევლინება სამოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვანი განხორციელებისათვის ხელშემშლელ ფაქტორად. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული აქტივობის" კრიტერიუმში ლავრენტი მაღლაკელიძე უნდა შეფასდეს 5 (ხუთი) ქულით.
ქულათა ჯამი	92	100	

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა:

თარიღი : 27.05.2021 წ.